ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6489090

ნომერი: AR1966969

თარიღი : 18.05.2023

გაცემის თარიღი : 02.06.2023

გაცნობის თარიღი : 02.06.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ლეო ქიაჩელის ქუჩა, N 15;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზაზა მაისურაძე პ/ნ 01027005749
- თბილისი ი.მოსაშვილის ქ. N 1 ბ. 80

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- III კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალფუნქციური ობიექტი(კომერციული,საოფისე,საცხოვრებელი)
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: რატი ჩომახიძე
- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: atelier architects
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405059387

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: "ქიაჩელი რეზიდენსი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404524742
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: 405059387ტარიელ შავერდაშვილი

- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01010000752

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 5938867
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 27.05.2022

ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ 2022 წლის 27 მაისის № 5938867 ბრძანებასა და მშენებლობის სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილების შეტანის შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 27 მაისის № 5938867 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში (სექტორი – მთაწმინდა), ქიაჩელის ქ. N15-ში საერთო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ N01.15.03.022.082) მრავალფუნქციური შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა, მშენებლობის ნებართვა განისაზღვრა 2022 წლის 27 მაისიდან 2023 წლის 27 მაისის ჩათვლით;

2023 წლის 18 მაისს №AR1966969 განცხადებით სამსახურს მიმართა ზაზა მაისურაძემ, რომელიც ითხოვს მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელების მიზნით, 2022 წლის 27 მაისის № 5938867 ბრძანებაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილებების განხორციელებას.

სამსახურმა განცხადების განხილვის შედეგად გადაწყვიტა, რომ მოთხოვნა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 27 მაისის № 5938867 ბრძანებაში. კერძოდ, ჩანაწერი: "მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2022 წლის 27 მაისიდან 2023 წლის 27 მაისის ჩათვლით"; შეიცვალოს ჩანაწერით: „მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2023 წლის 02 ივნისიდან 2024 წლის 02 იანვრის ჩათვლით";
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 27 მაისის №5938867 ბრძანებასთან ერთად.

- აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.